

# გუშინ საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 80 (4074) 23 1970 წ. აპრილი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## საპრიზო ადგილების უპირატესობით

სოხუმის მოსწავლეთა და პიონერთა პარკში გაიმართა აფხაზეთის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში გაზეთ „პრავდის" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გაგრის, გალის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონების, აგრეთვე, ქალაქების სოხუმისა და ტყვარჩელის წარმომადგენლები (გუდაუთისა და გულრიფშის რაიონების სპორტსმენები არ გამოცხადდნენ).

1000 მეტრზე მორბენალ გოგონებს შორის I ადგილი დაიკავა ტყვარჩელის გუნდის წევრმა ლ. კრივეცოვამ. ქალიშვილები 1500 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველაზე სწრაფი გამოდგა გალელი ც. ახვლედიანი.

საინტერესოდ წარიმართა ჭაბუკთა ბრძოლა 3000 მეტრზე. აფხაზეთის ჩემპიონი გახდა ა. დმიტრიევი (სოხუმი).

5000 მეტრზე მორბენალ იუნიორთა შორის გამარჯვებისთვის ათი სპორტსმენი იბრძოდა. ყველას აჯობა ვ. ლიტვინოვმა (სოხუმი). ვაჟთა ასპარეზობაში 8000 მეტრზე გაიმარჯვა სოხუმელმა ვ. კონდრაშოვმა.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო სოხუმის ნაკრები. II ადგილზე არიან გალის რაიონის, III — ტყვარჩელის სპორტსმენები. ტყვარჩელისა და ოჩამჩირის გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს, მაგრამ ოჩამჩირელებს ნაკლები საპრიზო ადგილები აღმოაჩნდათ.

გ. იაშვილი.

სოხუმი.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში




სამეზო ტაბლო

### გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგის გუნდები (დუბლიორთა შემადგენლობანი)

მდგომარეობა 23 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 7 | 4 | 2 | 1 | 10—4 | 10 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 5 | 4 | 1 | 0 | 10—3 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 7 | 3 | 2 | 2 | 11—7 | 8 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 7 | 3 | 2 | 2 | 8—5 | 8 |
| ცსკა | 6 | 3 | 1 | 2 | 10—4 | 7 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 6 | 3 | 1 | 2 | 10—5 | 7 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 6 | 2 | 3 | 1 | 7—5 | 7 |
| „არარატი" (ერევანი) | 6 | 2 | 3 | 1 | 6—6 | 7 |
| „დინამო" (მინსკი) | 6 | 2 | 3 | 1 | 6—6 | 7 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—5 | 7 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 6 | 2 | 2 | 2 | 5—9 | 6 |
| ასკ (როსტოვი) | 6 | 1 | 3 | 2 | 6—4 | 5 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 7 | 2 | 1 | 4 | 6—9 | 5 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 6 | 1 | 3 | 2 | 6—9 | 5 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 1 | 3 | 3 | 7—13 | 5 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 6 | 0 | 3 | 3 | 2—7 | 3 |
| „პახთაკორი" (ტაშკენტი) | 7 | 0 | 2 | 5 | 3—17 | 2 |

## ყველა „მოსკვიჩი" ტრასაზეა

რომი, 22 აპრილი. ყველა — ხუთივე „მოსკვიჩ-412" განაგრძობს რბოლას გიგანტურ ავტორალიში ლონდონი — მეხიკო. ოთხ დღეში ავტომობილისტებმა ინგლისის, საფრანგეთის, გფრ-ის, ავსტრიის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის გზებზე ჩაიქროლეს. სოფია რალის ყველაზე აღმოსავლეთი პუნქტი იყო. აქედან ეკიპაჟებმა დასავლეთისკენ აიღეს გეზი. ოთხშაბათს მათ ისევ გაიარეს იუგოსლავიისა და იტალიის მიწაზე. ახლა რალის მონაწილეებს წინ აქვთ საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის გზები. ლისაბონიდან 26 აპრილს მრბოლელები თვითმფრინავით, ხოლო მანქანები — თბომავლით გადასერავენ ოკეანეს და რიო-დე-ჟანეიროში ჩავლენ. ბრაზილიის დედაქალაქიდან მოასპარეზენი 10 მაისს გავლენ სამხრეთ ამერიკის გზებზე.

ახლა შეჯიბრებას 92 ავტომობილი განაგრძობს, — რალის გამოეთიშა 4 ეკიპაჟი. სატვირთო მანქანასთან შეჯახებისას ავარია შეემთხვა ინგლისელი მალკინის ავტოს (საბედნიეროდ, მრბოლელი და მისი პარტნიორები არ დაშავებულან). კუვეიტის გუნდს გფრ-ის ტერიტორიაზე... გზა აერია. ორი ეკიპაჟიც საჯარიმო ქულათა მეტისმეტი სიმძიმის გამო გამოაკლდა რალის.

ოთხი „მოსკვიჩი" უჯარიმოდ ასპარეზობს. ს. ტენიშევის მანქანამ ქუჩაში მოძრაობის წესები დაარღვია, იგი პოლიციამ დააკავა, რის გამოც საკონტროლო პუნქტზე მისვლა 18 წუთით დაგვიანდა — 18 საჯარიმო ქულაც მიიღო.

ევროპის ავტოსტრადები ეკიპაჟებს საკონტროლო პუნქტებზე ვადამდე 1-1,5 საათით ადრე მისვლის საშუალებას აძლევს. ამ დროს ვეტერანები ძილისთვის იყენებენ, ახალბედები კი სიამოვნებით ექიმებიან ფოტოგრაფებს, ინტერვიუს იძლევიან. რეპორტიორების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინგლისელი ფეხბურთელი ჯ. გრივსი. „ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა, — განუცხადა მან ჟურნალისტებს სოფიაში ჩასვლისას, — ერთადერთი, რაც მაკლია, ესაა დილაობით თოხლო კვერცხი და შაშხი". ბულგარეთის დედაქალაქში ავტომობილისტებს საუზმე ქუჩაში კი არ გაუმართეს, არამედ სასტუმრო „ბალკანის" რესტორანში. ასე რომ, გრივსმა თავისი საყვარელი საუზმე მიიღო.

## ცხინვალელებმა იმარჯვეს

ცხინვალში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში „პრავდის" პრიზზე. სარბიელზე გამოვიდნენ ქალაქ ცხინვალის, ჯავის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების გუნდები. ლენინგორელებმა ასპარეზობას თავი აარიდეს.

1000 მეტრზე მორბენალ გოგონებში უძლიერესი იყო ვ. ალბოროვა, 1500 მეტრზე — მ. ქურთაევა. ქალთა შორის 2000 მეტრზე რბენა მოიგო ფ. ბეთეევამ (ყველა — ცხინვალი). 3000 მეტრზე მორბენალ იუნიორთა და 5 კილომეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრებებში იმარჯვეს ცხინვალელმა მძლეოსნებმა ვ. დოგუზოვმა და ე. გათიკოევმა.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. ქ. ცხინვალი, 2. ჯავა, 3. ზნაური.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

## კახაბრიშვილს მეტოქეები ჯერ არ ჰყავს




## კახაბრიშვილს ვერავინ მოუგო

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXVI ჩემპიონატის ფინალი. გათამაშდა კიდევ რამდენიმე ტური, რომელთა შედეგებს ქვემოთ გთავაზობთ:

VI ტური. კაჭარავა — კორომინაძე — 1:0, პილცერი — ხუგაშვილი 0:1, კახაბრიშვილი — კობაიძე 1:0, სანაძე — წერეთელი 0,5:0,5, ჩიქობავა — ბალაშვილი 1:0, ხუბულური — დათაშვილი 0,5:0,5, სიორდია — ივანოვა 0:1, შენგელია — ჩხიკვაძე 1:0.

VII ტური. წერეთელი — კაჭარავა 0,5:0,5, კორომინაძე — პილცერი 1:0, ხუგაშვილი — კახაბრიშვილი 0,5:0,5, კობაიძე — შენგელია 1:0, ბალაშვილი — სანაძე 0:1, დათაშვილი — ჩიქობავა 0:1, ივანოვა — ხუბულური 1:0, ჩხიკვაძე — სიორდია 0,5:0,5.

VIII ტური. კაჭარავა — ბალაშვილი 0,5:0,5, პილცერი — წერეთელი 0,5:0,5, კახაბრიშვილი — კორომინაძე 0,5:0,5, კობაიძე — ხუგაშვილი 0:1, დათაშვილი — სანაძე 0:1, ივანოვა — ჩიქობავა 0:1, ჩხიკვაძე — ხუბულური 0:1, შენგელია — სიორდია 1:0.

IX ტური. დათაშვილი — კაჭარავა 0,5:0,5, ბალაშვილი—პილცერი 0,5:0,5, წერეთელი — კახაბრიშვილი 0,5:0,5, კორომინაძე — კობაიძე 1:0, ხუგაშვილი — შენგელია 0,5:0,5, სანაძე— ივანოვა 1:0, ჩიქობავა — ჩხიკვაძე 0,5:0,5, ხუბულური — სიორდია 1:0.

X ტური. კაჭარავა — ივანოვა 0:1, პილცერი — დათაშვილი 1:0, კახაბრიშვილი — ბალაშვილი 1:0, კობაიძე — წერეთელი — გადაიდო. ხუგაშვილი — კორომინაძე 1:0, ჩხიკვაძე — სანაძე 0:1, სიორდია — ჩიქობავა 0:1, შენგელია — ხუბულური 0:1.

10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ც. კახაბრიშვილი, მ. სანაძე — 8-8 ქულა, ნ. ჩიქობავა — 7,5, ს. ივანოვა — 7, თ. ხუგაშვილი — 6,5, ლ. კორომინაძე — 6, ნ. ხუბულური — 5,5, ც. კობაიძე — 5 (1).

როგორც აქ მოყვანილი შედეგებიდან ჩანს, ჩემპიონატის მიტელშპილში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, რამაც საგრძნობი გავლენა მოახდინა სსრ კავშირის ქალთა ფინალის 2 საგზურისთვის ბრძოლაზე.

პირველ ყოვლისა ეს არის შეჯიბრების მონაწილე ერთადერთი ოსტატის კობაიძის ზედიზედ სამი წაგება. მას სწორედ იმ მეტოქეებმა (კახაბრიშვილი, კორომინაძე, ხუგაშვილი) მოუგეს, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატის საგზურებს უმიზნებენ. პარტიების გაცნობისას ცხადი გახდა, რომ ოსტატი ხშირად უზუსტოდ აფასებდა პოზიციას და თამაშის მცდარ გზას ირჩევდა. როგორც ჩანს, კობაიძე საქართველოს ჩემპიონის სახელს გამოეთხოვება.

ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები არიან კახაბრიშვილი, სანაძე და ჩიქობავა. შუა ტურნირში კახაბრიშვილმა ზედიზედ 5 შეხვედრა მოიგო და ჯერ პარტია არ წაუგია. ბოლო ოთხ ტურში მან სამი შეხვედრა დაამთავრა ყაიმით. სანაძემ ოთხი პარტია მოიგო, ჩიქობავამ კი სამი. მათ რომ ეს ტემპი შეინარჩუნონ, ჩემპიონის ვინაობის საკითხი მართლაც უაღრესად საინტერესო გახდება.

ჩემპიონატის ბოლომდე 5 ტური დარჩა. რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრა საინტერესო იქნება, მაგრამ მაინც გვინდა გამოვყოთ ლიდერების ჩიქობავა — სანაძისა და კახაბრიშვილ — ივანოვას პარტიები.

უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა უმრავლესობა არათანაბარი ძალით იბრძვის. მაგალითად, ხუბულურმა შვიდ ტურში 3 ქულა დააგროვა, ხოლო ამდენივე ქულა ბოლო სამ შეხვედრაში მიიღო. ვფიქრობთ, მოგების აზარტში შესულ ხუბულურთან თამაში არც ისე ადვილი იქნება ჩიქობავასა და სანაძისთვის, რომლებიც მას ფინიშზე ხვდებიან.

თ. გიორგაძე.

მძლეოსნობა



საწყლოსნო სლალომი საქართველოშიც მოვიდა...
ფოტო მ. მნათობიშვილისა.

# ვ. ი. ლენინი და ფიზიკური კულტურის საკითხები

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საუკეთესო პირობები შექმნა საზოგადოების სულიერი გადახალისებისთვის. გზა გაუხსნა ფართო მასებს შემოქმედებითი შრომისთვის. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ „ჩვენს წინაშე დადგა... კულტურული ამოცანები" (ტ. 33, გვ. 186).

დიდი ბელადი ჯერ კიდევ რევოლუციამდე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობის აღზრდა უშუალოდ დამოკიდებულია საზოგადოებრივი წყობის ხასიათზე, მატერიალური ცხოვრების პირობებზე. სასტიკად აკრიტიკებდა რა „სკოლის აპოლიტიკურობის" მქადაგებელთ, იგი მიუთითებდა, რომ „სკოლა ცხოვრების გარეშე, პოლიტიკის გარეშე — ეს სიცრუე და თვალთმაქცობაა". აღზრდის შინაარსის განსაზღვრის დროს ლენინი კ. მარქსის შეხედულებებიდან გამოდიოდა. ნაშრომში „კ. მარქსი", მას მოჰყავს მარქსის ცნობილი დებულება, რომ კომუნისტური აღზრდის წანამძღვრები უკვე კაპიტალისტური წყობის პირობებში ისახება და გიმნასტიკა (ფართო გაგებით — ფიზიკური კულტურა) ადამიანის ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი ელემენტი გახდება.

ლენინმა სასტიკად გაილაშქრა 1902 წლის „დროებითი წესების" კანონის წინააღმდეგ, რომლითაც მეფის რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის მესვეურები სტუდენტებს ნებას აძლევდნენ „მოეწყოთ წრეები სხვადასხვა სახის ფიზიკური ვარჯიშისთვის". ამით მათ სურდათ ახალგაზრდობა ჩამოეშორებინათ რევოლუციონური ბრძოლებისგან, კონტროლი დაეწესებინათ მათს საქმიანობაზე. ლენინმა ახალგაზრდობას ურჩია უარი ეთქვა ამ „ახალ საჩუქარზე" და ვანუმარტა ცარიზმის ფარული განზრახვა (ტ. 6, გვ. 86).

ლენინს ფიზიკური კულტურა და სპორტი საერთოდ არ მიაჩნდა მარტო გართობის საშუალებად. პლეხანოვისა და აქსელროდის შენიშვნებს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ფიზიკურ კულტურას სწორედ ასეთი ფუნქცია დაეკისრება, ვლადიმერ ილიას ძის დიდი გულისწყრომა გამოუწვევია.

ლენინს მიაჩნდა, რომ სოციალიზმის ეპოქაში ადამიანის ფორმირებაში შრომასთან ერთად დიდი ადგილი დაეთმობა ფიზიკურ კულტურას, როგორც მის ისტორიულად ცნობილ ხელისშემწყობ თანამგზავრს და საერთო კულტურის შემადგენელ ნაწილს. კ. ცეტკინთან საუბარში ბელადი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში „ახალგაზრდობას განსაკუთრებით ესაჭიროება სიცოცხლის ხალისი და მხნეობა, ჯანსაღი სპორტი — ტანვარჯიში, ცურვა, ექსკურსიები, ყოველი სახის ფიზიკური ვარჯიშობანი, სულიერი ინტერესების მრავალმხრივობა, სწავლება, გარჩევა, კვლევა-ძიება და ეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად ერთად აღებული" (იხ. კ. ცეტკინის მოგონებანი ლენინზე. 1955 წ. გვ. 49-50). აქ ლენინი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რა პედაგოგიური ზემოქმედების პროცესია საჭირო მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისთვის. „ჯანსაღი სპორტი", ახალგაზრდობას მორალურად აკეთილშობილებს, მისცემს ფიზიკურ ძალას, ჯანმრთელობას, რაც ასე აუცილებელია კომუნიზმის მშენებელი ადამიანისთვის. „ჯანსაღი სპორტის" ცნება, რაც პირველად ლენინთან გვხვდება, „ბურჟუაზიული სპორტისა" და, საერთოდ, „სპორტის" ჩვეულებრივი განმარტების საპირისპიროდ, თავისი შინაარსით სწორედ იმ კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციის გამოხატულებაა, რომელიც სოციალისტურმა სახელმწიფომ ადამიანის პიროვნების კომუნისტურად აღზრდისთვის უნდა განახორციელოს. არანაკლებ საყურადღებოა ლენინის მითითება, რომ გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური აღზრდისა და პოლიტექნიკური სწავლების შემცველი პედაგოგიური პროცესი ერთდროულად ბევრ საშუალებას უნდა მოიცავდეს, უნდა იყოს „ყველაფერი შეძლებისდაგვარად ერთად აღებული". ეს ნათქვამი ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ფორმირების ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტის გზას სახავს.

ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის პრობლემას ლენინი მუდამ უკავშირებს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს. ნაშრომში „მემარცხენეობის სენი კომუნიზმში" იგი ამბობს, რომ ჩვენი საზოგადოება გადავა „ყოველმხრივად განვითარებულ და ყოველმხრივად მომზადებული ადამიანების აღზრდასა, სწავლებასა და მომზადებაზე, ადამიანებისა, რომლებსაც ყველაფრის გაკეთება ეცოდინებათ. კომუნიზმი აქეთკენ მიდის, უნდა მიდიოდეს და მივა" (ტ. 31, გვ. 42). ამან გამოხატულება უნდა ჰპოვოს ფიზიკური და გონებრივი შრომის უმაღლეს შერწყმაში. „ბურჟუაზიული კულტურის გამანადგურებლების" — ულტრამემარცხენეების, პროლეტკულტებისა და სხვათა გამოხდომების საპირისპიროდ, ლენინი გვასწავლიდა, რა უნდა ავიღოთ წარსული ეპოქების კულტურიდან და რა უნდა უარვყოთ კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების პროცესში.

წარსულის მემკვიდრეობაზე უარის თქმა ფიზიკურ კულტურასაც შეეხო. ამ „თეორიის" მიხედვით, სპორტი თავისთავადაა ბურჟუაზიული სულისკვეთების შემცველი, რადგან კაპიტალისტური სამყაროს პირმშოა. კიდევ მეტი, მის მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ ყველა ის ფიზიკური ვარჯიში და სპორტული იარაღი, რაც კაპიტალისტური წყობისას იყო გამოყენებული, თავისთავად კაპიტალისტური ფიზიკური აღზრდის სისტემის ბურჟუაზიულ სულს გამოხატავდა. ასეთ „თეორიებს" ფსიქოლოგიის პოზიციებიდანაც გამოუჩნდნენ ქომაგები და დამსაბუთებლები. თურმე, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ფეხით ბურთის თამაში, რაღაც უსიამოვნოს, საძაგელის, ზედმეტის თავიდან მოშორებას ნიშნავს, რაც მხოლოდ ბურჟუაზიული სპორტისთვის არის მისაღები. უნდობლობა გამოუცხადეს ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა ძველ კადრებსაც, როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებს და ა. შ. ყოველივე ზემოთქმულიდან თავისთავად გამომდინარეობდნენ ის ფსევდორევოლუციური ფრაზები და ლოზუნგები, რომლებიც მოითხოვდნენ: „ძირს სპორტი!", „ძირს ორძელი!", „შევქმნათ ჩვენი, პროლეტარული ვარჯიშობები და იარაღები!" (ა. ნოვიკოვი. „ფიზიკური აღზრდა". მ. 1949 წ. გვ. 16).

კულტურული რევოლუციის შესახებ ლენინის მოძღვრების შუქზე შესაძლებელი გახდა ყველა ამ მტრული გამოხდომის შინაარსში გარკვევა.

ისტორიული მნიშვნელობა აქვს ლენინის გამოსვლას კომკავშირის III ყრილობაზე. ყრილობის დადგენილებაში ფიზიკური კულტურის შესახებ ნათქვამია, რომ „მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა წარმოადგენს კომუნისტური აღზრდის საერთო სისტემის ერთ აუცილებელ ელემენტთაგანს, მიმართულს ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის, შემოქმედის — კომუნისტური საზოგადოების მოქალაქის შექმნისკენ". აქვე მითითებულია, რომ „იგი ისახავს პრაქტიკულ მიზნებს: 1. ახალგაზრდობის მომზადებას შრომითი და მწარმოებლური მოღვაწეობისთვის; 2. სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვისთვის" (იხ. კომკავშირის ყრილობების რეზოლუციები და დადგენილებანი. 1925 წ. გვ. 587. რუსულ ენაზე).

პროლეტარული კულტურის მშენებლობამ დასახა ამოცანა, რომ ფიზიკური კულტურა, როგორც სოციალისტური კულტურის შემადგენელი ნაწილი, ფართოდ შეჭრილიყო მშრომელი მასების ყოფა-ცხოვრებაში. სწორედ ამ ეტაპზე, კომკავშირული ახალგაზრდობის თაოსნობით, სულ უფრო მეტად იპყრობს სარბიელს „ჯანსაღი სპორტი". ამგვარად, უკვე სამოქალაქო ომისა და მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის მძიმე წლებში გამოიკვეთა ის ძირითადი ნიშნები, რაც შემდგომში დამახასიათებელი გახდა ფიზიკური კულტურისთვის. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის 1925, 1929 და 1930 წლების დადგენილებებმა ფიზიკური კულტურის თაობაზე ყველა საჭირო წანამძღვარი მოამზადეს ფიზიკური აღზრდის მწყობრი სისტემის შესაქმნელად: 1931 წელს, ლენინური კომკავშირის ინიციატივით მივიღეთ უაღრესად პატრიოტული და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ფიზიკურ ვარჯიშობათა მთელი კომპლექსი — „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისთვის" — I საფეხური. გახდა რა ფიზიკური აღზრდის ერთიანი სისტემის პრაქტიკული საწყისი და საყრდენი, მთ კომპლექსი ბოლომდე ინარჩუნებს ამ როლს აღნიშნული სისტემის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზაზე. ცნობილია, რომ ფიზიკურმა კულტურამ სოციალისტური სახელმწიფოს ალმოცენების პირველ წლებშივე ჰპოვა სახელმწიფოებრივი აღიარება. ლენინმა სხდომაზე, სადაც სახალხო კომისარიატებს შორის მოვალეობანი ნაწილდებოდა, განათლების სახალხო კომისარს მიუთითა სკოლებში ფიზკულტურის სასწავლო საგნად შემოღებაზე. 1918 წელს ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების" („ვსევობუჩი") შესახებ. სავალდებულო სწავლების პროგრამაში დროის საგრძნობი ნაწილი დათმობილი ჰქონდა ფიზიკურ მომზადებას. ყველა ასაკის წვევამდელთა მეცადინეობის გეგმაში ჩართული იყო ტანვარჯიში, მძლეოსნობა, თამაშობები და სხვ. სავალდებულო სწავლების სახით ჩატარებული ეს ღონისძიებანი საბჭოთა ხელისუფლების პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იყო ფიზიკური კულტურით მოსახლეობის ფართო მასებთან დაკავშირებისთვის. „ვსევობუჩის" ბაზაზე სხრ კავშირში ფიზიკური კულტურა და სპორტი სწრაფ განვითარებას იწყებს. ქალაქ ადგილებში, წითელ არმიაში მრავლად ჩნდებიან სამხედრო-სპორტული კლუბები, ფიზკულტურის წრეები, სპორტული უჯრედები. სპორტის ბევრ სახეობაში ტარდება საქალაქო და ქალაქებს შორის პირველობები, საჩვენებელი გამოსვლები, შეჯიბრებები. მოსკოვში და სხვაგანაც იქმნება ფიზკულტურის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი ექვსთვიანი კურსები, რითაც საფუძველი ეყრება ამ დარგის მასწავლებელთა კადრების მომზადებას. მოსკოვის კურსები იმავე 1918 წელს გადაკეთდა ფიზკულტურის ერთწლიან ინსტიტუტად, ხოლო 1920 წელს ლენინის ხელმოწერით დამტკიცდა, როგორც უმაღლესი სასწავლებელი. 1919 წელს პეტროგრადში გაიხსნა მეორე ასეთივე ინსტიტუტი.

1921 წელს ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ". ამ დეკრეტით პირველი იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მძიმე წლებში დაბადებულ მოზარდთა ფიზიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად შემოღებული იყო მათი უფასოდ კვება და ფიზიკური ვარჯიშით გაჯანსაღება. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო დეკრეტები „დასასვენებელი სახლების შესახებ" და „მთავსოცაღზრდის" განყოფილებასთან ფიზიკური აღზრდის ქვეგანყოფილების დაარსების თაობაზე. ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მუშაობის მეტი ეფექტურობისთვის „ვსევობუჩებთან" იქმნება ფიზკულტურის საბჭოები, როგორც სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისა და კონტროლის პირველი ორგანოები. ამავე წლებს ეკუთვნის მუშათა პირველი სპორტული საზოგადოებების შექმნაც.

ლენინი აღნიშნავდა, რომ „მხოლოდ სოციალიზმიდან დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, მართლაც მასობრივი, მოსახლეობის უმრავლესობის, შემდეგ კი მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში" (ტ. 25 გვ. 588). ბელადის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები მთელი ძალით განსახიერდა სოციალისტური კულტურისა და ფიზიკური კულტურის მაგალითზე. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, თანმიმდევრულად ახორციელებენ რა დიდი ლენინის უკვდავ იდეებს, ყოველდღიურ ზრუნვას იჩენენ ფიზიკური კულტურის მიმართ. კვლავ ალსდგა და ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი სპორტის ჭეშმარიტად ხალხურმა, ეროვნულმა სახეობებმა.

სოციალიზმის პირველ და ყველაზე მოწინავე კულტურის ქვეყანას აქვს ასევე მოწინავე ფიზიკური კულტურა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებაში.

**ნ. რამიშვილი,**
ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

## შეეცადეთ ამოხსნათ

ეს საჭადრაკო ამოცანები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს უძღვნა ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის" განყოფილების გამგემ, ცნობილმა საჭადრაკო კომპოზიტორმა, პირველთანრიგოსანმა მოჭადრაკემ ჯ. მახათაძემ. მსგავსი ამოცანების შეთხზვა ადვილი როდია. კომპოზიტორმა ერთმანეთს უნდა შეუსაბამოს კომპოზიციის მოთხოვნები და წინასწარ ჩაფიქრებული ამოცანების გარეგნული სახე.

ზესტაფონელმა პრობლემისტმა წარმატებით დაძლია ეს სიძნელეები. შეეცადეთ ამოხსნათ:



შამათი 3 სვლაში



შამათი 2 სვლაში



შამათი 2 სვლაში

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის ფიზკულტურელები ლენინის იუბილეს დღეებში გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ. ბელადის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქარხნო სპარტაკიადა მათ ზამთარშივე დაიწყეს — ცემში მოთხილამურეთა ტურნირი გამართეს. ვაჟთა შეჯიბრებაში იმარჯვეს მე-8 საამქროს, ქალთა შორის კი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს გუნდებმა.

ჭადრაკსა და შაშში ყველას აჯობა პირველმა საამქრომ. გაიმართა შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში...

სურათზე: ფრენბურთელთა შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.



## მოჭადრაკეთა საიუბილეო ტურნირები

რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში იმ დღეს დიდი გამოცოცხლება იყო. კლუბის ფოიეში დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა მოეწყო. ბევრ ექსპონატში გამოირჩეოდა ვლადიმერ ილიას ძის უნიკალური ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია ჭადრაკის თამაშის დროს 1908 წლის გაზაფხულზე კუნძულ კაპრიზე.

— დიდ ბელადს ძალიან უყვარდა ჭადრაკი. მას უთამაშია ტურნირებში ყაზანში, სამარაში — ნაფიც ვექილ ანდრეი ხარდინის ოჯახში. ჩვენ ლენინის იუბილეს ელვისებურ ტურნირს ვუძღვნით, — თქვა ქართული ჭადრაკის ვეტერანმა, ოსტატმა ა. ბლაგიძემ საიუბილეო ტურნირის გახსნისას.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი ბევრმა გამოთქვა. ამიტომ წინასწარ შესარჩევი ტურნირები ჩაიმართა. და აი, ახლა ფინალიც მოეწყო. სარბიელზე 20 ოსტატი, ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი გამოვიდა. თითოეული პარტიისთვის მეტოქეებს 10-10 წუთი ეძლეოდათ.

ბრძოლამ თითქმის ხუთ საათს გასტანა. გთავაზობთ ტურნირის საბოლოო შედეგებს: თ. ლომაია, ზ. მიქაძე — 15,5-15,5 ქულა, გურგენიძე, ჯინჯიხაშვილი — 14-14, გ. მაჭავარიანი — 12, გ. განრეკელი — 11,5, თ. ელიოზიშვილი, ს. მეგრელიშვილი, პ. შაქარიანი — 10,5-10,5, ჰ. არნშტეინი, ა. ბოკუჩავა, თ. კიკიანი — 9,5-9,5, ნ. ჩახოიანი — 8,5 და ა. შ.

ამ შეჯიბრების პარალელურად მეთოდური მუშაობის დარბაზში ოსტატი ე. უბილავა ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა 10 მოჭადრაკეს. ბრძოლა აქაც უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა. ოსტატმა 9 მეტოქეს მოუგო, მაგრამ „საქსახწყალკანალპროექტის" ინსტიტუტის თანამშრომელთან, ინჟინერ ჯ. ბათიაშვილთან დამარცხდა.

გუშინწინ კლუბში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ელვისებური ტურნირი, რომელიც ასევე იუბილეს მიეძღვნა.

**თ. ნინოშვილი.**

* * *

გუშინწინ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში საზეიმოდ დაიხურა ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი საჭადრაკო პირველობა.

სამახსოვრო საჩუქრები და დიპლომები გადაეცათ გამარჯვებულებს: მეცხვარეობის განყოფილების ზოოტექნიკოსს ნ. ნაროუშვილს (10 ქულა 11-დან), შრომისა და ხელფასის განყოფილების ეკონომისტს ო. აბაშმაძეს (9,5) და გამოგონება - რაციონალიზატორთა განყოფილების აგრონომს ვ. ხვედელიძეს (8).

**უ. დავითაშვილი,**
პირველობის მთავარი მსაჯი.

## დიადი თარიღის აღსანიშნავად

თელავის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა რაიონის ქალთა სპარტაკიადა, მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი და მოჭადრაკეთა ელვისებური შეჯიბრება.

ქალთა სპარტაკიადის პროგრამაში 7 სახეობა იყო. საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკელებმა გაიმარჯვეს.

მაგიდის ჩოგბურთში პირადი პირველობა გაიმართა. ყველას აჯობა ო. ჯანდიერმა. მოჭადრაკეთა ელვისებურ ტურნირში უძლიერესი გახლდათ ს. მეგრელიშვილი.

**ს. ოხანაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

თელავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა სასროლეთზე ქარი მძვინვარებს

სსრ კავშირის 8 უძლიერესი გუნდის ტყვიის მსროლელთა შეჯიბრების მეორე დღეს ავჭალის სასროლეთზე ძლიერი ქარი ქროდა. მართალია, ცეცხლის ხაზზე მრავალ ბრძოლაში გამოცდილი სპორტსმენები გამოვიდნენ, მაგრამ ქარის სიძლიერის ცვალებადობის გათვალისწინებით სროლა მათაც უჭირდათ. ეს შედეგებსაც დაეტყო.

ვაჟები 300 მეტრიდან არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვებისთვის მებრძოლთა რიცხვში 13 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იყო. მათ შორის ყველას აჯობა ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა გ. გლადკიმ, რომელმაც 560 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმატივი გაიმეორა. ცნობილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვ. ავილოვი (მოსკოვი) და ვ. ეგოვი (რსფსრ) მას შესაბამისად 3 და 4 ქულით ჩამორჩნენ. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო სპორტის ოსტატი ვ. ახალაძე (554 ქულა), რომელიც VI ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ ცუდად ისროლა ქვეყნის ნაკრების წევრმა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა ჟ. აბაჯიანმა (526 ქულა, XXXV ადგილი).

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს კვარტეტმა (ახალაძე, გ. ბუჩუკური, ვ. პანკოვი, აბაჯიანი) 2159 ქულა დააგროვა და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა.

„გაქცეულ ტახზე" წონადირეებს ხელი მოეცარათ. ისინი ნორმალურად მოძრავ სამიზნეს 50 მეტრიდან ესროდნენ, მაგრამ ყველა ტყვია ზუსტად მიზანში ვერავინ გაგზავნა. სპორტის ოსტატმა ა. ფარაფონოვმა (რსფსრ) 100-დან 8 ქულა დაკარგა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა პ. პლახატნიუკმა (უკრაინა) და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ნიკიტინმა (რსფსრ) — 10-10. მასპინძლებიდან საუკეთესო შედეგს (81 ქულა) ბ. ნაცვლიშვილმა მიაღწია. იგი ჯერჯერობით XXII ადგილზეა.

ქარი არც მესამე დღეს ჩადგა. არადა, მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა მსროლელებისთვის ამ პირობებში ასპარეზობა ნამდვილი წყლის ნაყვაა. ასეც მოხდა. I თანრიგის ნორმატივი გამარჯვებულმა ი. მიხაილკინმაც (ტაჯიკეთი — 573 ქულა) კი ვერ შეასრულა. მოგაგონებთ, რომ პირველობისთვის მებრძოლთა შორის 1 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 16 საერთაშორისო კლასის ოსტატი იყო. აბაჯიანმა და ვ. ვლასოვმა (რსფსრ) ერთნაირი შედეგით (572) დაამთავრეს ასპარეზობა. ვინაიდან აბაჯიანს ბოლო სერიაში უკეთესი მაჩვენებელი (94) ჰქონდა, ვიდრე ვლასოვს (92), II ადგილი მას დარჩა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოსა და რსფსრ-ს კოლექტივებს 2254-2254 ქულა დაუგროვდათ. მაშინ მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვებული მეტოქე გუნდის წევრთა საუკეთესო და უარესი მაჩვენებლების სხვაობით განსაზღვრა. აქ რსფსრ-ს გუნდს მასპინძლებზე (572 და 550) უკეთესი შედეგი — 16 ქულა (569 და 553) აღმოაჩნდა. III ადგილზეა უკრაინის გუნდი — 2211 ქულა.

ამ ვარჯიშში ვაჟებს ქალებმა აჯობეს: რამდენიმე მონაწილემ I თანრიგის ნორმატივს გადააჭარბა. ს. ბუჩუკურმა (საქართველო) და ვ. მარტემიანოვამ (მოსკოვი) 578-578 ქულა დააგროვეს, ტ. როტნიკოვამ (მოსკოვი) და ბ. ზარინიამ (ლატვია) — 577-577. საპრიზო ადგილების განაწილებაში ბოლო სერიების მაჩვენებლები ჩაერია, რის გამოც პირველობა მარტემიანოვას მიეკუთვნა, III ადგილი კი როტნიკოვას. გუნდურ ჩათვლაში ყველას ლენინგრადელებმა აჯობეს. საქართველოს კოლექტივი მეხუთეა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე მსროლელები გუშინწინ მხოლოდ მრგვალ სამიზნეებზე ასპარეზობდნენ. ქალებში ვ. გოშაძე, გ. მოსეიჩუკი (ორივე — რსფსრ) და ნ. ივანოვა (ლენინგრადი) დაწინაურდნენ — თითოეულმა 289 ქულა დააგროვა. მასპინძლები მ. ღვინერია და ო. კუდრიავცევა 281 ქულით XVII-XVIII ადგილებზე არიან.

ვაჟები ამ ვარჯიშს რევოლვერ-პისტოლეტით ასრულებენ. ლიდერობს კ. მიტიუშინი (ლენინგრადი) — 287 ქულა. თბილისელი ო. კვირიკაშვილი (281 ქულა) VIII ადგილზეა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სამი დღის შემდეგ ისევ ლენინგრადელები ლიდერობენ. II ადგილზეა რსფსრ, III მოსკოვი, IV — საქართველო.

**თ. ლეკიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

## 1970 ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

16 აპრილს ჩატარდა რესპუბლიკური ჩემპიონატის გამოტოვებული შეხვედრები.

● „სინათლე" (თბილისი) — „მშენებელი" (ბორჯომი) 3:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „ცისკარი" (სიღნაღი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 0:0, მსაჯი გ. გუჯაბიძე (ფოთი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. ხიანოზოვი (თბილისი).

19 აპრილს შედგა მორიგი, IX ტურის მატჩები.

● „სინათლე" (თბილისი) — „გიგანტი" (ლაითური) 4:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

თბილისელებს პირველ ტაიმში საგრძნობ დახმარებას უწევდა ზურგქარი და „გიგანტს" თითქმის მთელი გუნდით მოუხდა დაცვაში თამაში. სტუმრებმა მაინც გაუშვეს ერთი ბურთი სიმონიშვილის დარტყმის შემდეგ. შესვენების მერე როლები შეიცვალა. ქარი ლაითურელებს ეხმარებოდა, მაგრამ არ გასულა ცოტა ხანი და ლორიამ გაზარდა ანგარიში — 2:0. შემდგომში გოგოტიშვილმა 1 ბურთი გაქვითა, მაგრამ ეს იყო სტუმრების პირველი და უკანასკნელი წარმატება: პირიქით, აივაზოვმა და დევდარიანმა ანგარიში აიყვანეს 4:1-მდე.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „მადაროელი" (ჭიათურა) 4:1. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

ცხაკაიელთა უპირატესობა პირველივე წუთებიდან უდავო იყო. ანგარიში გახსნა დარასელიამ. ამას მოჰყვა ქაჩიბაიას, იმავე დარასელიასი და ძაგანიას 3 ბურთი. „მადაროელმა" შეძლო მხოლოდ 1 საპასუხო ბურთის გატანა (გაბარაშვილი).

● „ხქური" (წალენჯიხა) — „ენგური" (ზუგდიდი) 4:0. მსაჯი ო. ჩიქობავა (თბილისი).

● „ისანი" (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 1:1. მსაჯი ი. კუნჩინი (თბილისი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს გარდაბნელებმა, რომელთა თავდამსხმელმა ჩიხრაძემ ზუსტად დაარტყა კარში — 1:0. ისნელებს მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში არ გაუშვიათ ხელიდან ინიციატივა და საბოლოოდ ანგარიში ჯიქიამ გაათანაბრა.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მზიური" (გალი) 3:2. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

● „ცისკარი" (სიღნაღი) — „მშენებელი" (ბორჯომი) 2:0. მსაჯი მ. დუბრავინი (თბილისი).

ბორჯომელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ „ცისკრის" თავდამსხმელები უფრო ზუსტად მოქმედებდნენ შეტევების დასასრულს. სოზაშვილისა და მინდარაშვილის ორ გოლს მშენებლებმა ვერც ერთით ვერ უპასუხეს და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა, თუმცა სტუმრები 10 კაცის შემადგენლობით თამაშობდნენ. სტუდენტებმა მხოლოდ მეორე ტაიმში მოაწესრიგეს ურთიერთმოქმედება თავდასხმაში და გაიმარჯვეს კიდეც (ხვედელიძე, მელიქიძე, მელნიკოვი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — ასკ (თბილისი) 3:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

არმიელთა მცველებისა და მეკარის ენერგიული თამაშის წყალობით სამტრედიელებმა პირველ ტაიმში ვერ შეძლეს ვერც ერთი მომენტის გამოყენება. „ლოკომოტივმა" მხოლოდ შესვენების შემდეგ მიაღწია მიზანს: კოხრეიძემ ორჯერ აიღო არმიელთა კარი, რასაც მატჩის მიწურულს მოჰყვა ბარდაკოვის მესამე გოლი.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „სამცხე" (აწყური) 2:2. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:1. მსაჯი ა. მურუსიძე (ფოთი).

კალანდაძის გოლის წყალობით ჩოხატაურელები იგებდნენ მატჩს, მაგრამ თამაშის დასასრულამდე რამდენიმე წუთით ადრე „ფეიქარმა" მაინც შეძლო თავი დაეღწია დამარცხებისთვის. საპასუხო ბურთი გაიტანა ბოცვაძემ.

### II ჯგუფი
### I ზონა

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:2, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „მევენახე" (ბოლნისი) 3:2, „სპარტაკი" (რუსთავი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 1:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „არაგვი" (მცხეთა) 7:3, „შევარდენი" (თბილისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 0:1. წალკის „მშენებელს" მოგება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან", ხოლო წითელწყაროს „შირაქს" — ახალქალაქის „აბულთან".

### II ზონა

„მექანიკოსი" (სამტრედია) — „განთიადი" (აბაშა) 1:2, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „განახლება" (ადიგენი) 2:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „სამგურალი" (წყალტუბო) 3:1, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „დინამო" (ქუთაისი) 1:0, „კოლხეთი" (ხობი) — „ივერია" (ხაშური) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 9 | 7 | 2 | 0 | 21—7 | 16 |
| „ხქური" (წალენჯიხა) | 8 | 6 | 0 | 2 | 12—5 | 12 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 9 | 5 | 2 | 2 | 11—7 | 12 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 9 | 4 | 3 | 2 | 14—7 | 11 |
| „სინათლე" (თბილისი) | 8 | 5 | 1 | 2 | 15—10 | 11 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 9 | 4 | 3 | 2 | 12—7 | 11 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 8 | 4 | 2 | 2 | 13—7 | 10 |
| „ისანი" (თბილისი) | 8 | 3 | 4 | 1 | 6—3 | 10 |
| „სამცხე" (აწყური) | 9 | 3 | 4 | 2 | 7—8 | 10 |
| „მზიური" (გალი) | 8 | 2 | 5 | 1 | 11—8 | 9 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 8 | 2 | 5 | 1 | 8—6 | 9 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 9 | 2 | 5 | 2 | 5—4 | 9 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 9 | 2 | 4 | 3 | 8—9 | 8 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 7 | 2 | 3 | 2 | 6—9 | 7 |
| ასკ (თბილისი) | 9 | 2 | 2 | 5 | 6—11 | 6 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 9 | 0 | 6 | 3 | 6—13 | 6 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 9 | 1 | 4 | 4 | 6—14 | 6 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 7 | 1 | 3 | 3 | 7—7 | 5 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 8 | 2 | 1 | 5 | 4—12 | 5 |
| „მადაროელი" (ჭიათურა) | 7 | 0 | 4 | 3 | 4—9 | 4 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 8 | 1 | 1 | 6 | 5—16 | 3 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 7 | 0 | 2 | 5 | 3—11 | 2 |

●

გლდანში ჩატარდა რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში 1955-56 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გორის, ცხინვალის, რუსთავის, ოჩამჩირის გუნდები. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. თბილისი, II. ოჩამჩირე, III. ცხინვალი.

**სურათზე:** თბილისისა და ფოთის ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ი. იუნაევისა.

●



# ნოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ტყვიის სროლაში** — ჯ. ვაჩიბერიძეს (თბილისის „სპარტაკი"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ნ. ღვინჯილიას (სოხუმის „ბურევესტნიკი"); **ფეხბურთში** — რ. კიზირიას, ა. სიტკოვს (ორივე — თბილისის „სპარტაკი"); **სამბოში** — ა. ოქროპირიძეს (თბილისი, ასკ), ო. ქოქოშვილს, შ. მელაძეს (ორივე — გორის „განთიადი"), რ. დვალს, ნ. აბულაძეს (ორივე — თბილისის „დინამო"); **ჭადრაკში** — ი. ლოლუას (ფოთის „სპარტაკი").

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ისინდში** — ვ. პაიჭაძეს (ჩოხატაურის „კოლმეურნე"); **ქართულ ჭიდაობაში** — ა. ნათელაშვილს (დუშეთის „სპარტაკი"), ი. კაჭაროზაშვილს (ყვარლის „კოლმეურნე").

## ◆ თბილისი

„ლოკომოტივის" დარბაზში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში. ყველას აჯობეს სადგურ ნავთლუღის რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა (ფიზაღზრდის მასწავლებლები შ. კვერნაძე და ლ. ფილიშვილი). ამ სკოლის გოგონებმაც და ჭაბუკებმაც ფინალში დაამარცხეს (2:0) ოჩამჩირელები.

**გ. ნემსაძე.**

## ◆ თელავი

სოფელ ფშაველში ჩატარდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი შაშში. I ადგილი დაიკავა ვ. გოდერძიშვილმა. მოშაშე ქალთა ტურნირში ყველას აჯობა ც. რამაზაშვილმა.

* * *

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ტყვიის სროლასა და ველოსპორტში. ორივე სახეობაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს თელავის რუსული საშუალო სკოლის გუნდებმა.

**შ. ჯაჭვაძე.**
**ს. სტერმილოვი.**

## ◆ გურჯაანი

აქ გაიმართა ვეტერან ფეხბურთელთა გარდამავალი თასის გათამაშება კახეთის რაიონების გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ წითელი წყაროს, ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის წარმომადგენლები. თასი მოიპოვეს გურჯაანელებმა.

**გ. წიკლაური.**

## ◆ აბაშა

გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში. კარგი მომზადება გამოავლინეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა (ფიზაღზრდის მასწავლებელი ს. ჩოჩია). წონითი კატეგორიების მიხედვით ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს: ვ. ჯლარკავამ, ვ. ჭანტურიამ, რ. მელიამ, გ. ცანავამ, ტ. ვეკუამ (ყველა — ტექნიკუმი), ნ. ხოშტარიამ, ვ. მიმინოშვილმა, ქ. ნოდიამ (ყველა — სუჯუნის საბჭოთა მეურნეობა). თავისუფალ ჭიდაობაში უძლიერესნი იყვნენ: ა. გაბელაია, ა. ბესელია, რ. სალაყაია, ო. თოფურია (ყველა — ტექნიკუმი), გ. ხოშტარია, გ. მდინარაძე, ვ. მიმინოშვილი (ყველა — სუჯუნის საბჭოთა მეურნეობა).

## ◆ ხაშური

კალათბურთში რაიონის პირველობა მოიპოვა „სპარტაკმა". აღსანიშნავია, რომ სპარტაკელები უკვე მეოთხედ გახდნენ ჩემპიონები. II ადგილზე გავიდა „ლოკომოტივი", III — ბავშვთა სპორტსკოლის გუნდი.

**ზ. მოსეშვილი.**

## ◆ ცაგერი

ცაგერის რაიონის ქალთა IX სპარტაკიადა ლენინის იუბილეს მიეძღვნა. ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში ლასურიაშელმა მოსწავლეებმა იმარჯვეს, სროლაში შეჯიბრება კი ცაგერელმა მოსწავლეებმა მოიგეს. ფრენბურთში უძლიერესი იყო ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი.

**გ. ხვადაგიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



შარშან ფლორიდაში საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა დაბრკოლებებით რბენაში. სურათზე თქვენ ხედავთ მომენტს, როცა მოასპარეზენი წყლის ზღუდეს წაადგნენ. ტურნირი მოიგო მ. მანლიმ (სამხრეთი კალიფორნია).




პრაღის [illegible] ჩემპიონები ველობურთში — ძმები იან და ენდრიუ პოსპიშილები წვრთნას შეუდგნენ. ისინი ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ოქტომბერში ჩატარდება ოსტრავაში (ჩეხოსლოვაკია)

ტელეფოტო ჩტკ-საკდესისა.



# შინ მაინც...

24 აპრილს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში სტარტს აიღებს უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტური. პირველი ტურისგან განსხვავებით (იგი ჩატარდა ლენინგრადსა და ძერჟინსკში 5-5 გუნდის მონაწილეობით), ათივე უძლიერესი კოლექტივი საქართველოს დედაქალაქში იასპარეზებს.

პირველი ტურის მატჩებმა გული დაწყვიტა სპორტის ამ სახეობის ქართველ გულშემატკივრებს: თბილისის „დინამომ" სტარტი უხეიროდ აიღო, 4 მატჩიდან 3 წააგო, ერთი მოიგო და ამჟამად მხოლოდ 2 ქულა აქვს. არას ვამბობთ ისეთ ძლიერ გუნდებთან მარცხზე, როგორიც მოსკოვის „დინამო" და უნივერსიტეტის კოლექტივი არიან, მაგრამ ალმა-ათის თანაკლუბელებთან წაგება (4:5) ყველასთვის მოულოდნელი იყო. იმედია, ჩვენი წყალბურთელები ეცდებიან, რომ ამ ტურში მაინც გამოისწორონ სატურნირო მდგომარეობა.

აი, როგორ გამოიყურება გათამაშების ცხრილი პირველი წრის მეორე ტურის წინ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრ. საწყლოსნო სპორტკლუბი | 4 | 4 | 0 | 0 | 22—8 | 8 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 4 | 4 | 0 | 0 | 16—5 | 8 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 4 | 3 | 0 | 1 | 24—16 | 6 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 4 | 3 | 0 | 1 | 13—11 | 6 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 4 | 1 | 1 | 2 | 16—18 | 3 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 4 | 1 | 1 | 2 | 13—18 | 3 |
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 1 | 0 | 3 | 13—18 | 2 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) | 4 | 0 | 2 | 2 | 11—18 | 2 |
| „დინამო" (კიევი) | 4 | 0 | 1 | 3 | 7—11 | 1 |
| „ლოკომოტივი" (მოსკ. ოლქი) | 4 | 0 | 1 | 3 | 9—21 | 1 |

## გათამაშების კალენდარი

**24 აპრილი.** 12 ს. „ლოკომოტივი" (მოსკოვის ოლქი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრ. საწყლოსნო სპორტკლუბი, 13 ს. „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი), 19 ს. 30 წ. უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი), 20 ს. 30 წ. „დინამო" (ალმა-ათა) — „ტორპედო" (მოსკოვი), 21 ს. 30 წ. „დინამო" (თბილისი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო).

**25 აპრილი.** 12 ს. „ბალტიკა" — „ლოკომოტივი" 13 ს. კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია — „დინამო" (ალმა-ათა), 19 ს. 30 წ. „ტორპედო" — „დინამო" (მოსკოვი), 20 ს. 30 წ. „დინამო" (კიევი) — უნივერსიტეტი, 21 ს. 30 წ. სამხედრო - საზღვაო ფლოტის ცენტრ. საწყლოსნო სპორტკლუბი — „დინამო" (თბილისი).

**26 აპრილი.** 12 ს. „დინამო" (ალმა-ათა) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრ. საწყლოსნო სპორტკლუბი, 13 ს. „ლოკომოტივი" — „დინამო" (კიევი), 14 ს. „დინამო" (მოსკოვი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია, 15 ს. უნივერსიტეტი — „ტორპედო", 16 ს. „დინამო" (თბილისი) — „ბალტიკა".

**28 აპრილი.** 12 ს. „ტორპედო" — „ლოკომოტივი", 13 ს. „ბალტიკა" — „დინამო" (ალმა-ათა), 19 ს., 30 წ. კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია — უნივერსიტეტი, 20 ს., 30 წ. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრ. საწყლოსნო სპორტკლუბი — „დინამო" (მოსკოვი), 21 ს., 30 წ. „დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი).

**29 აპრილი.** 12 ს. „დინამო" (ალმა-ათა) — „დინამო" (კიევი), 13 ს. კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია — „ლოკომოტივი", 19 ს., 30 წ. „ბალტიკა" — „დინამო" (მოსკოვი), 20 ს., 30 წ. უნივერსიტეტი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრ. საწყლოსნო სპორტკლუბი, 21 ს., 30 წ. „დინამო" (თბილისი)—„ტორპედო".

# ბოლო მატჩი — 1:1

**ბუქარესტი, 21 აპრილი.** სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ უეფა-ს ტრადიციული ტურნირის ბოლო შესარჩევი მატჩი ითამაშა რუმინელ თანატოლებთან.

შეხვედრა უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. 29-ე წუთზე სტუმრებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და შევჩენკომ (ბაქოს „ნეფთჩი") ანგარიში გახსნა, მაგრამ 5 წუთიც არ გასულა, რომ მასპინძლებმა საბჭოთა ნაკრების კარში საპასუხო ბურთი გაიტანეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც სტუმართა ერთ-ერთმა მცველმა უხეშად ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და რუმინელებმა კარგად გამოიყენეს პენალტი.

ამრიგად, რუმინეთ — პოლონეთის ბოლო შესარჩევი მატჩის (გაიმართება 23 აპრილს ბუქარესტში) წინ ამ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: სსრ კავშირის ნაკრებს 4 ქულა აქვს ოთხი თამაშის შემდეგ, ხოლო პოლონეთისა და რუმინეთის გუნდებს — 3-3.

ფეხბურთი

# ტოსტაო — შტატის გმირი

ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი ტოსტაო, რომელიც მინას-ჟერაისის შტატის კლუბ „კრუზეიროში" (ბელუ-ორიზონტე) თამაშობს, ამ შტატის ნამდვილი კერპია. „ყოვლად შეუძლებელია, რომ ტოსტაომ ოდესმე დატოვოს „კრუზეირო",—აცხადებენ ადგილობრივი მიმომხილველები.

თვალის ოპერაციის დროს უტოსტაოდ თამაშში „კრუზეიროს" ძალიან დაეტყო. მთელი შტატი მხოლოდ ერთი ამბით იყო დაინტერესებული — როდის ჩადგებოდა მწყობრში მათი საყვარელი მოთამაშე. საკმარისი გახდა მისი მინდორზე გამოჩენა და „კრუზეიროს" სტადიონი ისევ გულშემატკივრებით აივსო.

# ახალი ამბები

● **ტაშკენტი,** 21 აპრილი. უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თასის ტრადიციულ გათამაშებაში ყველას აჯობა ესტონეთის ჩოგბურთელთა გუნდმა. ამ საინტერესო საგაზაფხულო შეჯიბრების ფინალში ესტონელებმა (მ. კული, ე. კომაროვა, ი. სიმსონი და ს. ევინგი) ანგარიშით 4:2 დაამარცხეს უკრაინის ნაკრები. III ადგილზე გავიდა საქართველოს კოლექტივი, რომელმაც სძლია უზბეკეთის გუნდს — 4:1.

● **ბუქარესტი,** 21 აპრილი. რუმინეთის ტანმოვარჯიშეებს თავიანთ ღია ჩემპიონატში სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, შვეიცარიის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან მოუხდათ ბრძოლა. საუცხოოდ იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიხვეჭეს კიდეც ამ ქვეყნის ჩემპიონთა წოდება ესენი არიან ვორონეჟელი ლ. ბურდა (74.4 ქულა) და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ლისიცკი — 110,6 (II ადგილზე გავიდა ვორონეჟელი ა. მალეევი — 108,7 ქულა). ბურდამ ყველას აჯობა ბჯენით ხტომებში და ძელზე, ხოლო ლისიცკიმ — ძელზე, ტაიჭზე, რგოლებზე და ორძელზე ვარჯიშში.

● **იალტა, 21 აპრილი.** უკრაინის მძლეოსანთა საგაზაფხულო პირველობაში შესანიშნავად გამოვიდა უროს ტყორცნაში მსოფლიოს რეკორდსმენი ა. ბონდარჩუკი, რომლის ნატყორცნი იარაღიც ყველა ცდაზე 70 მეტრის ფარგლებში დაეცა. საბოლოოდ, ბონდარჩუკმა 72,94 მეტრზე ტყორცნა ურო. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში. 100 მეტრზე თარჯრბენში ლ. ხიტრინამ საკავშირო რეკორდი (13,4) გაიმეორა. მანვე მოიგო 100 მეტრზე რბენა — 11.7 წამი.

● **შალგოტარიანი,** 21 აპრილი. უნგრელ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 20 წლის მ. ჩაბი-კომკამ 184 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა დაძლია და ერთბაშად 7 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე ეროვნული რეკორდი.

● **ლონგ-ბიჩი** (აშშ), **21 აპრილი.** ამ ქალაქის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში რ. ბრაუნი 219 სმ სიმაღლეზე გადახტა, ხოლო ვეტერანმა ჰ. კონოლიმ ურო 68,14 მეტრზე ტყორცნა.

● **ამსტერდამი,** 21 აპრილი. ალმა-ათის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელმა ვაჟებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი მოუგეს ადგილობრივ კლუბ ამვუ-ს — **3:1 (15:5, 10:15, 15:12, 15·13).** განმეორებითი შეხვედრა — ალმა-ათაში 27 აპრილს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

## თბილისის სპორტულ ბაზაზე

**ტყვიის სროლა.** ავჭალის სასროლეთი. **23-26 აპრილი. სსრ კავშირის 8 უძლიერესი გუნდის ტურნირი.** დასაწყისი 10 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური კლუბი. **23-29 აპრილი. საქართველოს ქალთა XXVI ჩემპიონატი. დღეს: XII ტური.** დასაწყისი 16 ს. 30 წ.

**წყალბურთი.** ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზი. **24-29 აპრილი. სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის გუნდების პირველობა.** დასაწყისი 12 ს. და 19 ს. 30 წ.

**კლასიკური ჭიდაობა.** სპორტის სასახლე. **თბილისის ღია ჩემპიონატი.** მონაწილეობენ სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები — მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები. დასაწყისი: 24-25 აპრილს — 12 და 17 ს., 26 აპრილს — 17 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. **24-25 აპრილი. თბილისის თასი. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებისთვის.** დასაწყისი 15 ს.

# ნარევი

ბერლინი. უროს ტყორცნაში ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი უ. ბაიერი ახალ სეზონს კარგად მომზადებული შეხვდა. აქ გამართულ შეჯიბრებაში მან 73,60 მ აჩვენა. ეს ამ სახეობის მსოფლიო ისტორიაში მეხუთე შედეგია. დღემდე ურო ბაიერზე შორს ტყორცნეს ბონდარჩუკმა — 75,48, კლიმმა (ორივე — სსრ კავშირი) — 74,52, ჟივოცკიმ (უნგრეთი) — 73,76 და შუპლიაკოვმა (სსრ კავშირი) — 73,72.

სან-ვიტორე ოლონა. იტალიის აქ გამართულ საერთაშორისო კროსში მძლეოსნები 10 კილომეტრზე დარბოდნენ. ყველას აჯობა ნ. ტემუმ (კენია).

მონტევიდეო. ურუგვაის 27-ე მრავალდღიანი ველორბოლის 1383-კილომეტრიანი ტრასა 9 ეტაპად იყო დაყოფილი. გაიმარჯვა ჯ. მაფეისმა (იტალია) — 36:51.22 (საათში საშუალოდ 37 კმ სისწრაფე).

კარდიფი. ხუთი ერთვნების თასისთვის ბრძოლაში უელსის რეგბისტთა გუნდმა აქ ანგარიშით 11:6 დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08162